დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 24 ნოემბრის N 51/20 ოქმით

საგანმანათლებლო პროგრამის დებულება

პრეამბულა

ხარისხის კულტურა

საქართველოს უნივერსიტეტი (შემდგომში - სუ) ხარისხის კულტურის ქვეშ მოიაზრებს დაინტერესებული პირების: აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, ადმინისტრაციული პერსონალის, პარტნიორებისა და ხელმძღვანელობის, საერთო სულისკვეთებით მოქმედებასა და გაერთიანებას საქართველოს უნივერსიტეტის მისიით გაცხადებული ღირებულებების ქვეშ, რათა საერთო ძალისხმევით მუდმივად შესაძლებელი გახდეს განვითარება და სრულყოფა.

ძლიერი ხარისხის კულტურა ხელს უწყობს ისეთი გარემოს შექმნას უნივერსიტეტში, სადაც დაინტერესებული მხარეები აქტიურად მონაწილეობენ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში, არა ვალდებულების გამო, არამედ სრულყოფილების შინაგანი სურვილით.

ზემოხსენებული იდეის რეალიზაციისთვის ტარდება შემდეგი აქტივობები:

1. **კომპეტენციებზე ორიენტირებული სწავლის შედეგები:**

უნივერსიტეტში არსებობს პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც გაზომვადი კრიტერიუმებით ახორციელებს შეფასებას და უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების შესაბამის ჩართულობას, რათა უზრუნველყოფილი იყოს კომპეტენციებზე ორიენტირებული სწავლება.

უნივერსიტეტში სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის ძირითადი რგოლია პროგრამის განვითარების საბჭო, რომელიც ინდივიდუალურად თითოეულ პროგრამასთან მიმართებით იქმნება.

2. **ფოკუსირება პრაქტიკაზე:**

უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს პროგრამების კურიკულუმების პრაქტიკული მიმართულებით უწყვეტ განვითარებასა და ისეთი აქტივობების უზრუნველყოფაზე, როგორიცაა: სტაჟირება, პრაქტიკა, პროექტები, პორტფოლიოები და ა.შ. რათა სტუდენტებს ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ჰქონდეთ საშუალება გაეცნონ იმ გამოწვევებს, რომელთაც ისინი შეხვდებიან დასაქმების შემდეგ, თავიანთი მოვალეობების განხორციელებისას.

3. **ინსტიტუციური თვითშეფასება:**

უნივერსიტეტის სისტემატური თვითშეფასების უზრუნველყოფა, რომლის მიზანია გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება და რეკომენდაციების მიწოდება რექტორის საბჭოსთვის, რათა დროულად მოხდეს ახალ გამოწვევებზე რეაგირება უნივერსიტეტის უწყვეტი განვითარებისათვის.

4. **უწყვეტი გაუმჯობესება:**

შიდა და გარე შეფასების მექანიზმების გამოყენების შედეგად მიღებული უკუკავშირის მიწოდება დაინტერესებული პირებისთვის, რათა გაზიარებული იყოს მიღებული რეკომენდაციები და

აღნიშნულ რეკომენდაციებზე საპასუხოდ განხორციელებული ნაბიჯების შესახებ ინფორმაცია. უკუკავშირის მიზანია უზრუნველყოს ანგარიშვალდებულება დაინტერესებული მხარეებისადმი იმის შესახებ, თუ რა გავლენა იქონია შეფასებებმა საუნივერსიტეტო ცხოვრებასა და საგანმანათლებლო პროგრამებზე. უკუკავშირისთვის დანერგილია ელექტრონული საშუალებები, ხოლო ინფორმაციისა და გამოცდილებების გაზიარების მიზნით როგორც უნივერსიტეტის შიგნით, აგრეთვე მის გარეთ - შეხვედრები.

5. უწყვეტი პროფესიული განვითარება:

პერიოდული ტრენინგები სტუდენტზე ორიენტირებული სწავლის მეთოდებში; აგრეთვე მუდმივი კომუნიკაციის უზრუნველყოფა დაინტერესებულ პირებთან, რათა გაზიარებული იყოს ინფორმაცია თუ რა პროცესები და სიახლეები ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

თავი 1. საგანმანათლებლო პროგრამა

მუხლი 1. საგანმანათლებლო პროგრამა

1.1. საგანმანათლებლო პროგრამა არის სწავლების ადმინისტრირებული პროცესი მიმართული სტუდენტის მიერ პროგრამით დასახული მიზნების მიღწევაზე, სწავლის შედეგებით განსაზღვრული კომპეტენციების გამომუშავებასა და სტუდენტისთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებაზე, რასაც უზრუნველყოფს მოცემული პროგრამით განსაზღვრული ალგორითმულად დალაგებული სასწავლო კომპონენტების ერთობლიობის დაძლევა.

1.2. საგანმანათლებლო პროგრამა არის სუ-ს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული.

1.3. საგანმანათლებლო პროგრამა არის სუ-ს ადმინისტრაციული ერთეული და მისი ადმინისტრირება ხდება წინამდებარე დებულების მე-2 თავით, სუ-ის მართვის დებულებით, პერსონალის დებულებით და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული წესით.

1.4. საგანმანათლებლო პროგრამა არის სუ-ს ძირითადი შემოსავლის წყარო.

1.5. საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების ენა შეიძლება იყოს ქართული ან უცხოური ენა. ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, შესაძლოა ცალკეული სასწავლო კომპონენტების უცხოურ ენაზე განხორციელება.

1.6. საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა (დრო, რაც პირობითად საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის დასაძლევად) იზომება კრედიტებში (ECTS), სადაც 1 ECTS-ში მოიაზრება 25 საათიანი სასწავლო დატვირთვა.

1.7. საგანმანათლებლო პროგრამის მდგენელებია:

ა. პროგრამის სასწავლო გეგმა (კურიკულუმი)

ბ. პროგრამის კომპონენტები და მათი სილაბუსები

გ. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები

დ. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები/აქტივობები

ე. სწავლების ორგანიზების თავისებურებები და პროგრამის დეტალები

ვ. შეფასების ფორმები, პროცესი/კრიტერიუმები

ზ. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური რესურსის აღწერა

თ. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის აღწერა

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპები

2.1. საგანამანათლებლო პროგრამა შეიძლება იყოს:

2.1.1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 240 ECTS-ის მოცულობით (მათ შორის, ასეთის

არსებობის შემთხვევაში, ძირითადი (major) პროგრამა არანაკლებ 120 ECTS-ის მოცულობით და დამატებითი (minor) პროგრამა არანაკლებ 60 ECTS- ის მოცულობით). რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამების გარდა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შესაძლოა განისაზღვროს 180 ECTS-ით;

2.1.2. ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა - 300 ECTS-ის ან 360 ECTS-ის მოცულობით;

2.1.3. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა 120 ECTS-ის მოცულობით; რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამების გარდა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შესაძლოა განისაზღვროს 60 ECTS-ით;

2.1.4. მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი პროგრამა (დამოუკიდებელი);

2.1.5. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა - ხანგრძლივობა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს.

მუხლი 3. უნივერსიტეტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება

3.1. სუ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს სრულად ან ნაწილობრივ უნივერსიტეტის საკუთრებას.

3.2. უნივერსიტეტის საკუთრებაში ნაწილობრივ არსებული საგანმანათლებლო პროგრამა არის დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამა (დსპ).

3.3. სრულად უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრირება ხდება სკოლების მეშვეობით.

მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა (კურიკულუმი)

4.1. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა (კურიკულუმი) არის სასწავლო პერიოდზე განაწილებული სტრუქტურულად გაერთიანებული, ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგებული პროგრამის მოდულებისა და ცალკეული კომპონენტების ერთობლიობა, რომლებზეც გადანაწილებულია ჯამური კრედიტების რაოდენობა და წინაპირობებით განსაზღვრული ალგორითმით წარმოადგენს სტუდენტის მიერ პროგრამაზე სწავლის დაწყების და დასრულების ინსტრუქციას.

4.2. სტუდენტისთვის, ვინც ინდივიდუალური სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებიდან გამომდინარე საჭიროებს აკადემიური მომზადებისათვის სწავლა-სწავლების, შეფასების და ა.შ.სათანადო ფორმებსა და სპეციალურ პირობებს, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას.

4.3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული სტუდენტისთვის, მისი კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე. ინდივიდუალური მიდგომის პრინციპით განისაზღვრება სტუდენტისთვის სასწავლო კურსების თანმიმდევრობა, საათობრივი დატვირთვა, მეთოდები და ა.შ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განსაზღვრა ხდება სუ-ში შესაბამის სასწავლო საფეხურზე სწავლების მარეგულირებელი დებულებების შესაბამისად.

მუხლი 5. საგანამანათლებლო პროგრამის მოდული

5.1. პროგრამის მოდული წარმოადგენს რაიმე ნიშნით გაერთიანებულ პროგრამის კომპონენტთა ჯგუფს და მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე კომპეტენციის განვითარებაზე.

5.2. სუ-ის საგანმანათლებლო პროგრამები აგებულია მოდულების პრინციპით. პროგრამა შესაძლოა შედგებოდეს ძირითადი და ასარჩევი, ჰუმანიტარულ-სოციალური და STEM ბლოკებისგან, კონცენტრაციის, მიმართულების, ძირითადი (major) და დამატებითი (minor) პროგრამული და სხვა მოდულებისგან.

5.3. პროგრამის მოდულები, ისევე როგორც მისი შემადგენელი კომპონენტები შესაძლოა დაკავშირებული იყოს ერთმანეთთან პრერეკვიზიტული პრინციპით.

5.4. პროგრამის მოდულები ისევე, როგორც მასში შემავალი კომპონენტები შესაძლოა იყოს სავალდებულო, არჩევითი ან სავალდებულო-არჩევითი.
5.5. პროგრამის მოდული შესაძლებელია იყოს დამატებით სპეციალობის, ვიწრო სპეციალიზაციის/კონცენტრაციის განმსაზღვრელი. ასეთ შემთხვევაში მოდულისთვის გაწერილია მიზნები და შედეგები.

მუხლი 6. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის/მოდულის პრერეკვიზიტი
6.1. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის/მოდულის პრერეკვიზიტი წარმოადგენს პირობას, რომლის შესრულებაც აუცილებელია სტუდენტისთვის პროგრამის შესაბამის კომპონენტზე/მოდულზე დასარეგისტრირებლად.
6.2. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის/მოდულის პრერეკვიზიტი შესაძლოა იყოს:
6.2.1. წინაპირობა - პროგრამის კომპონენტი/კომპონენტთა ჯგუფი, რომლის დაძლევაც აუცილებელია (კომპონენტის შინაარსიდან ან პროგრამაში კომპონენტების თანმიმდევრობიდან გამომდინარე) მოცემულ კომპონენტზე დასარეგისტრირებლად.
6.2.2. თანაპირობა - პროგრამის კომპონენტი/კომპონენტთა ჯგუფი, რომელიც დაძლეულ უნდა იქნეს მოცემულ კომპონენტზე სტუდენტის მიერ რეგისტრაციის დროისთვის ან უნდა აღებულ იქნას მოცემულ კომპონენტთან ერთად.
6.2.3. ალტერნატიული წინაპირობა - კომპონენტთა ჯგუფი, რომლთა შორის ერთ-ერთის დაძლევა აუცილებელია მოცემულ კომპონენტზე დასარეგისტრირებლად.
6.2.4. ალტერნატიული თანაპირობა- კომპონენტთა ჯგუფი, რომელთა შორის ერთ-ერთი დაძლეულ უნდა იქნეს მოცემულ კომპონენტზე სტუდენტის მიერ რეგისტრაციის დროისთვის ან უნდა აღებულ იქნას მოცემულ კომპონენტთან ერთად.
6.3. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის/მოდულის პრერეკვიზიტად შეიძლება განსაზღვრულ იქნეს სტუდენტის მიერ პროგრამის ფარგლებში დაგროვილი კრედიტების გარკვეული რაოდენობა.

მუხლი 7. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტი
7.1. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტი არის პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც იყოფა ორ კატეგორიად:
ა) სასწავლო კომპონენტი შესაძლოა წარმოდგენილ იქნეს სასწავლო კურსის, კურაციის, პრაქტიკა-სტაჟირების, საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ან პროგრამის შემადგენელი სხვა სახით;
ბ) სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი შესაძლოა წარმოდგენილ იქნეს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის, სადოქტორო დისერტაციის ან პროგრამის შემადგენელი სხვა კვლევითი კომპონენტის სახით.
7.2. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტს გააჩნია მიზანი, სწავლის შედეგები, კრედიტი, პრერეკვიზიტი, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილება, განსაზღვრული სწავლების მეთოდი, განსაზღვრული შეფასების სისტემა, ფორმები და მეთოდები, სასწავლო კომპონენტებს ასევე გააჩნია პერიოდზე გაწერილი შინაარსი.
7.3. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის მიზანი, სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები, კრედიტის მოცულობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილება, პრერეკვიზიტი, სწავლების მეთოდების აღწერა, შეფასების სისტემის, მეთოდებისა და ფორმების აღწერა, პერიოდზე გაწერილი კურსის შინაარსი, განრიგი, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა და ა.შ. გაწერილია კომპონენტის სილაბუსში.
7.4. სუ-ში მოქმედი ყველა პროგრამის სასწავლო კომპონენტების სილაბუსები ხელმისაწვდომია Online UG-სისტემაში.

მუხლი 8. სწავლების მეთოდები და თავისებურებები

8.1. სხვადასხვა კომპონენტის/საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სწავლების სხვადასხვა მეთოდს.

8.2. სასწავლო კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდები განსაზღვრულია კომპონენტის სილაბუსით.

8.3. სწავლის მეთოდები განისაზღვრება წინამდებარე დებულების დანართი N1-ის შესაბამისად .

მუხლი 9. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები

9.1. სასწავლო კომპონენტის სილაბუსით განსაზღვრულია სტუდენტთან საკონტაქტო და დამოუკიდებელი (არასაკონტაქტო) დრო.

9.2. საკონტაქტო საათს განეკუთვნება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით (მათ შორის დისტანციურ, ელექტრონულ რეჟიმში) სტუდენტის მიერ კომპონენტის სწავლის შედეგების მისაღწევად სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო (ლექცია, სემინარი, კურაცია, სტაჟირება/პრაქტიკა, იმიტირებული სასამართლო პროცესი და ა.შ. და შესაბამისი პროგრამით განსაზღვრული შეფასების ფორმების ჩაბარებისთვის განსაზღვრული დრო).

9.3. დამოუკიდებელ საათს განეკუთვნება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის მიერ კომპონენტის სწავლის შედეგების მისაღწევად სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო.

მუხლი 10. შეფასების სისტემა

10.1. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოიყენება ცოდნის შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა, რომელიც სემესტრის განმავლობაში სტუდენტის ცოდნის ეტაპობრივად შეფასების საშუალებას იძლევა;

10.2. შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.

10.3. შეფასების მეთოდები შესაძლოა იყოს ქვიზი, სხვა ზეპირი/წერითი გამოცდა/გამოკითხვა, რეფერატი, პროექტი, პორტფოლიო, ტესტი, ესსე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენა, გამოფენა, სპექტაკლში მონაწილეობა/დადგმა, საკონცერტო შესრულება, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE) და სხვ.

10.4. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ სასწავლო კომპონენტში, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების მეთოდები/ფორმები და ქულები განსხვავებულია და განსაზღვრულია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსით.

თავი 2. საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირება

მუხლი 11. საგანმანათლებო პროგრამის განხორციელება

11.1. საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც ხორციელდება რომელიმე კომპეტენციის ცენტრის (სკოლის/დეპარტამენტის) მიერ ან/და დსპ-ს (დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამა), ადმინისტრირებას უწევს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.

11.2. აკადემიური კუთხით ყველა პროგრამის მართვას და განვითარებას უზრუნველყოფს პროგრამის ხელმძღვანელი (აკადემიური დეკანი).

11.3. საგანამანთლებლო პროგრამის ადმინისტრირებას სტრუქტურულ ერთეულთან და 11.2. პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურები.

მუხლი 12. პროგრამის ხელმძღვანელი (აკადემიური დეკანი)

12.1. პროგრამის აკადემიური დეკანი უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის მქონე პირია, რომელიც ნიშნავს მიმართულების ხელმძღვანელს და კომპონენტის კურატორს.

12.2. პროგრამის საჭიროებებიდან გამომდინარე, წინამდებარე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, პროგრამის თანახელმძღვანელად შესაძლოა განისაზღვროს რელევანტური კომპეტენციის მქონე მოწვეული პერსონალი. პროგრამის ყველა თანახელმძღვანელი, წინამდებარე დებულების მიზნებისთვის, უთანაბრდება პროგრამის აკადემიურ დეკანს.

12.3. პროგრამის აკადემიური დეკანის კანდიდატურა დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით (თუ პროგრამა არ განეკუთვნება არცერთ დეპარტამენტს - სკოლის დირექტორის წარდგინებით) მტკიცდება სკოლის საბჭოს მიერ (დსპ-ის შემთხვევაში, რომლის ადმინისტრირება არ ხდება სკოლის/დეპარტამენტის მიერ, პროგრამის ხელმძღვანელს ნიშნავს პგს).

12.4. პროგრამის აკადემიური დეკანი:

ა) ახორციელებს პროგრამის მართვას და უზრუნველყოფს პროგრამის განვითარების საბჭოს გამართულ მუშაობას.

ბ) დაინტერესებული პირების ჩართულობით წარმართავს პროგრამის თვითშეფასების პროცესს, რის შედეგადაც ადგენს თვითშეფასების ანგარიშს შესაბამისი ადგილობრივი თუ საერთაშორისო მააკრედიტებელი ორგანოს მიერ დადგენილი ფორმის შესაბამისად.

გ) უზრუნველყოფს პროგრამის განვითარების პროცესში პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის, პოტენციური დამსაქმებლების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობას.

დ) უზრუნველყოფს პროგრამის განვითარების მიზნით შესაბამისი კვლევების (ბაზრის კვლევა, დამსაქმებელთა კვლევა, კურსდამთავრებულთა კვლევა და ა.შ.) წარმართვას.

ე) ზედამხედველობს განხორციელდა თუ არა დებულებით გათვალისწინებული შეფასებები, უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების პირდაპირი/არაპირდაპირი შეფასებით მიღებული მასალის ანალიზს და მიღებული ანალიზის საფუძველზე პროგრამის განვითარების საბჭოს წარუდგენს შესაძლო ცვლილებების პროექტს .

ვ) შესაბამისი სამსახურების ჩართულობით ახორციელებს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას, საერთაშორისო აკადემიური პერსონალის მოზიდვას და სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამების წახალისებას.

ზ) პგს-ზე დასამტკიცებლად წარადგენს პროგრამაში ცვლილებების პროექტს.

თ) სკოლის საბჭოზე (დსპ-ის შემთხვევაში, რომლის ადმინისტრირება არ ხდებასკოლის/დეპარტამენტის მიერ - პგს-ზე) დასამტკიცებლად წარადგენს მაგისტრატურაში მისაღები შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის თემატიკას.

ი) კომპეტენციის ცენტრებთან და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ჩართულობით აკომპლექტებს პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს.
კ) სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს სემესტრული ცხრილის შედგენას, ცხრილით განსაზღვრული პროგრამის თითოეული კომპონენტისთვის განმახორციელებელი პირის განსაზღვრას, საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულებით გაწერილი წესის შესაბამისად სემესტრის დაწყებიდან სასწავლო ცხრილის მოდიფიცირებას, ახალი ჯგუფის რეგისტრაციას ან არსებულის გაუქმებას.
ლ) უზრუნველყოფს სტუდენტების საჭირო კონტიგენტისთვის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებას/სტაჟირებას, ზრუნავს ამ მიმართულების პროგრამის შესაძლებლობების განვითარებასა და პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობაზე.
მ) განსაზღვრავს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო წიგნად ფონდს, უზრუნველყოფს მის განახლებასა და განვითარებას შესაბამისი სამსახურების ჩართულობით.
ნ) განიხილავს სტუდენტების განცხადებებს/მიმართვებს, მათ შორის სტუდენტების საჩივრებს შუალედურ თუ დასკვნით გამოცდებზე მიღებულ შედეგებთან დაკავშირებით, ქმნის შესაბამის კომისიებს.
ო) სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურთან ერთად წარმართავს სტუდენტების მობილობის პროცესს, კოორდინირებას უწევს პროგრამის ფარგლებში განხორციელებული სასწავლო კომპონენტების აღიარებას, მათ შორის, იმ შემთხვევაში, როდესაც სასწავლო კურსი სხვა აკადემიური პროგრამის ფარგლებში არის შეთავაზებული სტუდენტებისთვის.

მუხლი 13. მიმართულების ხელმძღვანელი

13.1. მიმართულების ხელმძღვანელი სუ-ში აკადემიური თანამდებობის მქონე პირია.
13.2. მიმართულების ხელმძღვანელი მართავს პროგრამის რამდენიმე კომპონენტს, რაც ჯამურად შესაძლოა იძლეოდეს დამატებით (minor) სპეციალობას/კონცენტრაციას/სპეციალიზაციას/კვალიფიკაციას რომელიმე პროგრამის ფარგლებში.
13.3. მიმართულების ხელმძღვანელი პასუხისმგებელია მიმართულების მუდმივ განვითარებაზე, ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობაზე, მიმართულებაში შემავალი პროგრამის კომპონენტების შინაარსზე, მათი თანმიმდევრობის და წინაპირობების ლოგიკურობაზე, სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების ერთობლიობით მიმართულების მიზნებზე გასვლის უზრუნველყოფაზე.
13.4. მიმართულების ხელმძღვანელი პასუხისმგებელია მიმართულებაში შემავალი კომპონენტების ჯეროვნად განხორციელებაზე.

მუხლი 14. სასწავლო კომპონენტის კურატორი

14.1. სუ-ში მიმდინარე პროგრამის ყველა სასწავლო კომპონენტს ჰყავს კურატორი.
14.2. სასწავლო კომპონენტის კურატორი სუ-ში აკადემიური თანამდებობის პირი ან მოწვეული პერსონალია.
14.3. სასწავლო კომპონენტის კურატორი:
ა) წარმართავს პროგრამის რომელიმე კომპონენტის (საგანი, კურაცია, პრაქტიკა/სტაჟირება) მიმდინარეობას.
ბ) პროგრამის აკადემიურ დეკანთან ერთად შესაძლოა მონაწილეობდეს სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი პირებით დაკომპლექტების პროცესში.
გ) უზრუნველყოფს კომპონენტის განვითარებას, შინაარსის, სწავლების მეთოდების, ლიტერატურის განახლებას, ამ პროცესში კომპონენტის განმახორციელებელი სხვა პირების ჩართულობას.
დ) ხელმძღვანელობს შუალედური და დასკვნითი გამოცდების საკითხების შემუშავების პროცესს.

ე) ყოველი სემესტრის ბოლოს გადახედავს სასწავლო კომპონენტის სილაბუსს და საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელს/აკადემიურ დეკანს წარუდგენს ცვლილებების პროექტს. სხვა ფაქტორებს შორის, ცვლილების საჭიროების იდენტიფიცირებისთვის იყენებს სწავლის შედეგების პირდაპირი/არაპირდაპირი შეფასების ანალიზს.

მუხლი 15. დსპ-ის მართვის ორგანოები

15.1. დსპ-ს მართვა ხორციელდება ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულებისა და კოლეგიური მართვის ორგანოების მიერ. ადმინისტრაციას წარმოადგენს: დსპ-ის ადმინისტრაციული დეკანი, დსპ-ის აკადემიური დეკანი და დსპ-ის მენეჯერი; კოლეგიურ ორგანოს წარმოადგენს: პროგრამის განვითარების საბჭო (პგს).

მუხლი 16. დსპ-ის ადმინისტრაციული დეკანი

16.1. დსპ-ის ადმინისტრაციული დეკანი:

ა) წარმოადგენს დსპ-ს ოფიციალურ ურთიერთობებში, უნივერსიტეტის დაინტერესებულ მხარეებთან , და უნივერსიტეტის შიგნით არსებულ სტრუქტურულ ერთეულებთან ურთიერთობაში.

ბ) პასუხისმგებელია დსპ-ის საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან, ამ დებულებასა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობით განხორციელებაზე; რექტორის ბრძანების, რექტორის საბჭოს გადაწყვეტილების, პგს-ის გადაწყვეტილების ჯეროვნად აღსრულებაზე.

გ) უნივერსიტეტის მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან შეთანხმებით განსაზღვრავს და წარმართავს დსპ-ის მარკეტინგულ საქმიანობას და საზოგადოებასთან ურთიერთობას.

დ) უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურთან შეთანხმებით განსაზღვრავს და განკარგავს დსპ-ის ფინანსებს: ადგენს წლიურ ბიუჯეტს, პასუხისმგებელია ფინანსების ეფექტურ ხარჯვაზე.

ე) ქირაობს და ათავისუფლებს დსპ-ის ადმინისტრაციულ პერსონალს („სუ-ის პერსონალის დებულებით“ განსაზღვრული წესის შესაბამისად).

ვ) თანამშრომლების და სტუდენტების წახალისების/გაკიცხვის მიზნით შეიმუშავებს წახალისების/გაკიცხვის მექანიზმებს.

ზ) პგს-ზე და შემდგომ რექტორის საბჭოზე დასამტკიცებლად წარადგენს დსპ-ზე მისაღები წლიური/სემესტრული კონტიგენტის პარამეტრებს.

თ) პგს-ზე დასამტკიცებლად წარადგენს საბჭოს შემადგენლობას მაგისტრანტობის კანდიდატთა პრეტენზიების განსახილველად.

ი) უნივერსიტეტის დასაქმების და კარიერული განვითარების სამსახურთან თანამშრომლობით მოიძიებს პოტენციურ დამსაქმებლებს და უზრუნველყოფს სტუდენტების და კურსდამთავრებულების მათთან კომუნიკაციას.

კ) საერთაშორისო სტუდენტებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურთან კოორდინაციით მოიძიებს საერთაშორისო პარტნიორებს და შეიმუშავებს მათთან თანამშრომლობის ფორმებს (საერთაშორისო პრაქტიკა/დასაქმება, სტუდენტთა გაცვლა).

ლ) საერთაშორისო სტუდენტებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურთან შეთანხმებით ურთიერთობს საერთაშორისო აგენტებთან საერთაშორისო სტუდენტების მოძიების კუთხით.

მ) საერთაშორისო აკრედიტაციის სამსახურთან შეთანხმებით ზრუნავს პროგრამის საერთაშორისო აღიარებაზე.

ნ) პგს-ს გაწეული სამუშაოს ანგარიშს აბარებს არანაკლებ წელიწადში ერთხელ.

ო) პასუხისმგებელია დსპ-ის/დსპ-ზე ასიგნირებული სუ-ის უძრავ-მოძრავი ქონების მართებულ ექსპლუატაციაზე.

მუხლი 17. დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების საბჭო (პგს)

17.1. დსპ-ის მართვის კოლეგიური კოლეგიური ორგანოა პროგრამის განვითარების საბჭო (პგს).
17.2. პგს-ის შემადგენლობის დამტკიცება ხდება დსპ-ის დამფუძნებელი საბჭოს მიერ, სადაც შედის სუ-ის წარმომადგენელი/ები და დსპ-ის წარმომადგენელი/ები
17.3. პგს-ს წევრებია:
ა) სუ-ის ხარისხის სამსახურის წარმომადგენელი
ბ) პროგრამის სხვა მესაკუთრე/ები (მათი წარმომადგენლები).
გ) პროგრამის ადმინისტრაციული დეკანი
დ) პროგრამის აკადემიური დეკანი
17.4. საჭიროებისამებრ საბჭოზე შესაძლოა მოწვეულ იქნას უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი.
17.5. წინამდებარე მუხლის 17.11. (გ) და (დ) პუნქტებით გათვალისწინებული საკითხების გადაწყვეტისას პგს-ის ხმოსანი წევრები არიან: სუ-ის წარმომადგენელი/ები და პროგრამის დანარჩენი მესაკუთრეები (მათი წარმომადგენლები).
17.6. პირი ავტომატურად იძენს/კარგავს პგს-ის წევრობის სტატუსს შესაბამისი თანამდებობის მიღების/დატოვების შემთხვევაში.
17.7. პგს-ის თავმჯდომარეა შესაბამისი დსპ-ის ხელმძღვანელი, ხოლო საბჭოს მდივანია დსპ-ის მენეჯერი
17.8. პგს-ზე გადაწყვეტილება მიიღება ხმების უმრავლესობით, წინამდებარე მუხლის 17.11. (გ) და (დ) პუნქტებით გათვალისწინებული საკითხების გადაწყვეტისას - წილის შესაბამისად. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა საერთო ხმის არანაკლებ 51%.
17.9. თითოეულ მხარეს აქვს გადაწყვეტილებაზე ვეტოს დადების უფლება.
17.10. პგს იკრიბება არანაკლებ წელიწადში ერთხელ. საბჭოს შეკრების ინიცირება შეუძლია პგს-ის თავმჯდომარეს, პროგრამის მესაკუთრეს, პროგრამის ადმინისტრაციულ დეკანს, პროგრამის აკადემიურ დეკანს.
17.11. პროგრამის განვითარების საბჭო:
(ა) ამტკიცებს დსპ-ის ადმინისტრაციულ დეკანს
(ბ) დსპ-ის აკადემიურ დეკანს და მენეჯერს
(გ) დსპ-ის ადმინისტრაციული დეკანის წარდგენით განიხილავს და ამტკიცებს დსპ-ის განვითარების სტრატეგიას, მარკეტინგულ გეგმას
(დ) განიხილავს და ამტკიცებს დსპ-ის მოგების რეინვესტირებისა და დივიდენდების განაწილებასთან დაკავშირებულ საკითხებს, შეიმუშავებს სადივიდენდო პოლიტიკას, ყოველწლიურად ამტკიცებს გასაცემი დივიდენდებისა თუ რეინვესტირებული მოგემის მოცულობებს
(ე) დსპ-ის აკადემიური დეკანის წარდგენით ამტკიცებს და პას-ს დასამტკიცებლად უგზავნის დსპ-ს, დსპ-ის თვითშეფასების ანგარიშს.
(ვ) დსპ-ის აკადემიური დეკანის წარდგენით ამტკიცებს და პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს დასამტკიცებლად უგზავნის დსპ-ში ცვლილებების პროექტს.
(ზ) ანიჭებს საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს შესაბამის კვალიფიკაციას
(თ) დსპ-ის აკადემიური დეკანის წარდგენით ამტკიცებს მაგისტრატურაში მისაღები შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის თემატიკას
(ი) დსპ-ის ადმინისტრაციული დეკანის წარდგენით, ამტკიცებს საპრეტენზიო საბჭოს შემადგენლობას მაგისტრანტობის კანდიდატთა პრეტენზიების განსახილველად
(კ) დსპ-ის ადმინისტრაციული დეკანის წარდგენით განიხილავს და რექტორის საბჭოზე დასამტკიცებლად წარადგენს დსპ-ზე მისაღები წლიური/სემესტრული კონტიგენტის პარამეტრებს
(ლ) დსპ-ის ადმინისტრაციული დეკანის წარდგენით ამტკიცებს დსპ-ზე სწავლის საფასურს
(მ) ისმენს დსპ-ის ადმინისტრაციული დეკანის ყოველწლიურ ანგარიშს.
(ნ) იღებს გადაწყვეტილებას დსპ-ის გაუქმების/მილევად რეჟიმში გადაყვანის შესახებ.

17[1]. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების საბჭო

17.1. საგანამათლებლო პროგრამების მმართველ კოლეგიურ ორგანოს წარმოადგენს პროგრამის განვითარების საბჭო (შემდგომში - პგს), რომელიც უძღვება პროგრამის უწყვეტ განვითარებას.

17.2. პგს-იქმნება და მისი შემადგენლობა მტკიცდება შესაბამისი სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელიც საჭიროებისამებრ ახორციელებს შემადგენლობის ცვლილებას.

17.3. პგს-ს შემადგენლობაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შემდეგი პირების ჩართულობა:

17.3.1. პროგრამის ყველა ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი;

17.3.2. შესაბამისი სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;

17.3.3. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის წარმომადგენლები;

17.3.4. სტუდენტი წევრი, რომელიც აირჩევა კონკურსის წესით 1 სემესტრის ვადით;

17.3.5. პოტენციური დამსაქმებელი.

17.4. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად, პგს უფლებამოსილია სხდომაზე მოიწვიოს განსახილველ საკითხთან დაკავშირებული პირები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

17.5. პგს:

17.5.1. წარმართავს პროგრამის უწყვეტ განვითარებას დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე პრინციპის შესაბამისად;

17.5.2 განიხილავს და ამტკიცებს პროგრამასა და მის კომპონენტებში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტს პროგრამის აკრედიტაციის საბჭოსთვის წარსადგენად;

17.5.3. ამტკიცებს დაინტერებული პირების გამოკითხვისთვის გამოსაყენებელ კითხვარებს;

17.5.4. აანალიზებს და განიხილავს სწავლის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების შედეგებს, განსაზღვრავს საპასუხო ღონისძიებებს;

17.5.5. პროგრამის აკადემიური დეკანის წარდგინებით, განიხილავს პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის პროექტს, მონაწილეობს მის სრულყოფაში;

17.5.6. უზრუნველყოფს პროგრამის აკრედიტაციის/რეაკრედიტაციის პროცესში პროგრამის გარე შეფასების განხორციელებას, რისთვისაც განსაზღვრავს შეფასების განხორციელების პირობებს. განიხილავს გარე შეფასების შედეგებს.

17[2]. პროგრამის აკრედიტაციის საბჭო (პას)

17.1. პას შედგება შემდეგი მუდმივი წევრებისაგან:

17.1.1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, საერთაშორისო აკრედიტაციის განყოფილების უფროსი, ავტორიზაციის განყოფილების უფროსი, აკრედიტაციის განყოფილების უფროსი, ანალიტიკისა და ხარისხის განვითარების განყოფილების უფროსი;

17.1.2. სუ-ში არსებული სკოლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერები.

17.2. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად, პას-ის სხდომებში მოწვეულ წევრებად ესწრებიან განსახილველი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები/თანახელმძღვანელები ან პროგრამის განხორციელებაში ჩართული სხვა აკადემიური პერსონალი, რომლებიც საბჭოს წარუდგენენ განსახილველ საკითხს.

17.3. პას-ის თავმჯდომარეა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

17.4. პას ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამებს/პროგრამებში განსახორციელებელ ცვლილებებს და მააკრედიტებელ ორგანოში აკრედიტაციისთვის/რეაკრედიტაცისთვის წარსადგენ პერიოდულ თვითშეფასების ანგარიშს. პას ამტკიცებს მილევად რეჟიმში საგანმანათლებლო პროგრამის გადატანის გადაწყვეტილებას.

17.5. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერები ხმის უფლებით არ სარგებლობენ მხოლოდ შესაბამისი სკოლის საკითხების განხილვისას, რომელთა გადაწყვეტაშიც მონაწილეობა აქვთ მიღებული პგს-ს შემადგენლობაში.

თავი 3. საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა

მუხლი 18. საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის პროცესი

18.1. საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის პროცესი გულისხმობს შემდეგი ეტაპების გავლას:

18.1.1. პროგრამის ინიცირება

18.1.2. პროგრამაზე მომუშავე საორგანიზაციო ჯგუფის დაკომპლექტება, მუშაობის დაწყება

18.1.3. პროექტის წარდგენა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროექტზე მომუშავე პირის/პირთა ჯგუფის განსაზღვრა)

18.1.4. პროგრამა მტკიცდება სკოლის საბჭოს მიერ, ხოლო დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამა პგს-ს მიერ; აღნიშნულის შემდეგ პროგრამა წარედგინება პას-ს.

18.1.5. პროგრამა სააკრედიტაციოდ ეგზავნება შესაბამის ორგანოს პას-ის დადებითი დასკვნის შემდეგ.

მუხლი 19. საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება

19.1. საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირებას ახდენს შემდეგიდან ერთ-ერთი:

ა) სკოლის დირექტორი

ბ) დეპარტამენტის უფროსი

გ) ნებისმიერ დაინტერესებულ პირს/პირთა ჯგუფი(დსპ-ის შემთხვევში)

19.2. სკოლის დირექტორი/დეპარტამენტის უფროსი ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის საინიციატივო პროექტით მიმართავს სკოლის საბჭოს

19.3. საგანმანათლებლო პროგრამის საინიციატივო პროექტი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას:

ა) პროგრამის კვალიფიკაცია - კვალიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორს.

ბ) კურიკულუმის ზოგადი მონახაზი - ინფორმაცია პროგრამის მიზნის, მოდულების, კომპონენტების, მათი თანმიმდევრობის (სასწავლო წლებზე გადანაწილების) და კრედიტების, ასევე, ძირითადი სწავლების მეთოდების შესახებ.

გ) პროგრამაზე მოთხოვნის ანალიზი - გამოკვლევა კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივების, დასაქმების ბაზარზე მოცემულ სპეციალისტებზე მოთხოვნის, აბიტურიენტებში უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მოცემულ სპეციალობაზე მოთხოვნის და სავარაუდო სამომავლო დინამიკის შესახებ.

დ) პროგრამის შესაძლო სწავლის საფასური - საბაზრო მოთხოვნებიდან და კონკურენტული ბაზრის კონიუნქტურიდან გამომდინარე შესაძლო საფასო დიაპაზონი.

ე) პროგრამაზე მისაღები კონტიგენტი - პროგრამის სწავლის საფასურიდან, პროგრამაზე მოთხოვნიდან და აკადემიური და მატერიალური რესურსიდან გამომდინარე ყოველწლიურად შესაძლო მისაღები სტუდენტების დაგეგმილი რაოდენობა.

ვ) საჭირო მატერიალური/ლაბორატორიული რესურსი - ინფორმაცია სტუდენტების დაგეგმილი კონტიგენტიდან გამომდინარე როგორც სააუდიტორო ფართის, ისე ავეჯის და სხვა ინვენტარის, საჭირო კომპიუტერული ტექნიკის, ლიტარატურის, სალაბორატორიო აპარატურის, დანადგარების და მოწყობილობების, სახარჯი მასალების და ა.შ. შესახებ (იანგარიშება სტუდენტების 1 ჯგუფზე)

ზ) საჭირო აკადემიური რესურსი - გულისხმობს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აკადემიური პერსონალისთვის კომპეტენციების განსაზღვრას და ინფორმაციას აღნიშნული კომპეტენციების მქონე პერსონალის რაოდენობის შესახებ; ასევე, ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენად მოიპოვება და რა ოდენობით, სათანადო კომპეტენციების მქონე აკადემიური პერსონალი

უნივერსიტეტში და როგორა არის შესაძლებელი საჭირო კომპეტენციის აკადემიური კადრის შესაბამისი ოდენობით მოძიება.

თ) პროგრამის მიზანშეწონილობა - პროგრამის მიზან-შეწონილობის საფუძველი შესაძლოა იყოს: კომერციული მიზანშეწონილობა - პროექტის პოტენციური მომგებიანობა მტკიცდება საბაზრო მოთხოვნით, კონკურენტული კონიუნქტურით, ბაზრის პერსპექტივით, პროგრამის განხორციელების ხარჯიანობით და ა.შ. პროექტისადმი ინტერესი გამომდინარეობს არა მომგებიანობიდან, არამედ ის განაპირობებს გარკვეულ დარგში ან ზოგადად, უნივერსიტეტის რეპუტაციის/პრესტიჟის ამაღლებას და გამართლებულია გრძელვადიანი მარკეტინგული მიზნებიდან გამომდინარე.

19.4. სკოლის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე გამოიყოფა სკოლიდან/დეპარტამენტიდან პროგრამის შემუშავებისთვის და აკრედიტაციისთვის მოსამზადებელი სათანადო მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსი და იქმნება ყველა პროგრამასთან მიმართებაში ინდივიდუალურად პროგრამის განვითარების საბჭო.

19.5. თუ სკოლის ბიუჯეტში არ აღმოჩნდა პროგრამის შემუშავებისთვის საკმარისი მატერიალური და ფინანსური რესურსი, სკოლის დირექტორი მიმართავს შუამდგომლობით რექტორს საგანმანათლებლო პროგრამის დასახმარებლად უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან რესურსის მიღების თხოვნით.

მუხლი 20. დსპ-ის ინიცირება

20.1. ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა/პირთა ჯგუფმა შესაძლოა წარადგინოს საავტორო დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამის (დსპ) შექმნის საინიციატივო პროექტი უნივერსიტეტის ცენტრალურ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.

20.2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პირველადი შესწავლის საფუძველზე იღებს ან უარყოფს პროექტს.

20.3. პროექტის უარყოფა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არ ჩათვლის დსპ-ის პროექტის მომზადების ხარისხს, დაინტერესებული პირის/პირთა ჯგუფის კომპეტენციას, დაინტერესებას, რესურსს და ა.შ. საკმარისად პროექტის ბოლომდე მისაყვანად.

20.4. პროექტის მიღების შემთხვევაში, დაინტერესებული პირის/პირთა ჯგუფი იხდის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მომსახურებისთვის იხდის საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი ჯგუფისთვის განსაზღვრულ საფასურს

20.5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოყოფს საგანმანათლებლო პროგრამაზე მომუშავე პირს/პირთა ჯგუფს, რომელიც დსპ-ის ინიციატორთან მუშაობს პროგრამის სააკრედიტაციოდ მოსამსადებლად.

20.6.უნივერსიტეტის/მისი ცალკეული სკოლის მხრიდან დსპ-ში ნულოვანი ინვესტიციის შემთხვევაში, დსპ-ში უნივერსიტეტის წილი 20%-ია.

20.7.უნივერსიტეტის/მისი ცალკეული სკოლის მხრიდან დსპ-ში წილობრივი ინვესტიციის შემთხვევაში, უნივერსიტეტის/მისი ცალკეული სკოლის წილი განისაზღვრება ინვესტიციის მოცულობის საფუძველზე დსპ-ის ინიციატორთან/საინიციატივო ჯგუფთან მოლაპარაკებით.

მუხლი 21. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

21.1. საგანამანათლებლო პროგრამის შემუშავებას უძღვება პროგრამის ხელმძღვანელი/პროგრამის აკადემიური დეკანი.

21.3. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას უზრუნველყოფილია პროგრამის განმახორციელებელი პოტენციური აკადემიური პერსონალის, პოტენციული დამსაქმებლების, პოტენციური სტუდენტების (არსებობის შემთხვევაში ან მომიჯნავე სპეციალობის სტუდენტების), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და სხვ. ჩართულობა.

21.4. პროგრამის შემუშავების და მისი დამატების დროს სტუდენტთა კონტიგენტის და

განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება საფაკულტეტო სამიზნე ნიშნულები.

21.5. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება გულისხმობს შემდეგი საფეხურების განხორციელებას:

ა) შრომის ბაზრის კვლევა, რაც გულისხმობს ერთის მხრივ დასაქმების ბაზრის კვლევას, ხოლო მეორეს მხრივ კურსდამთავრებულთა პოტენციური დასაქმების სფეროების და დამსაქმებლების კვლევას

ბ) პროგრამასთან შესაბამისი საქმიანობის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ჩამოყალიბება

გ) დასავლური ანალოგიური პროგრამების შესწავლა

დ) პოტენციური აკადემიური პერსონალის ხედვების შესწავლა

ე) კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობების და დამოკიდებულებების შესწავლა

ვ) არსებული სტუდენტების დამოკიდებულებების შესწავლა

ზ) პროგრამის კვალიფიკაციის, მიზნების და სწავლის შედეგების განსაზღვრა

თ) პროგრამის კურიკულუმის სტრუქტურის შემუშავება: ძირითადი და ასარჩევი მოდულების, მიმართულებების, კონცენტრაციების, მეიჯორ და მაინორ პროგრამების განსაზღვრა

ი) პროგრამის კომპონენტების, მათი თანმიმდევრობის და კრედიტების განსაზღვრა და თითოეული კომპონენტისთვის/კომპონენტთა ჯგუფისთვის კომპონენტის კურატორის და აკადემიური პერსონალის განსაზღვრა

კ) პროგრამის კომპონენტების სილაბუსების შემუშავება: კურსზე დაშვების წინაპირობების, სწავლების მეთოდების, შეფასების მეთოდების და ფორმების, კურსის შინაარსის, სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის განსაზღვრა

ლ) პროგრამის და მისი კომპონენების სილაბუსების შეყვანა Online UG-სისტემაში

მ) პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკის, ავეჯის და სხვა ინვენტარის, სალაბორატორიო ინვენტარის, აპარატურის და მანქანა-დანადგარების, სახარჯი მასალების და ა.შ. ნომენკლატურის და პარამეტრების განსაზღვრა

ნ) პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენა

ო) თვითშეფასების ანგარიშის, პროგრამისა და სილაბუსების უმაღლესი განათლების მარეგულირებელ დოკუმენტებთან და საქართველოს უნივერსიტეტის დებულებებთან შესაბამისობის შემოწმება

პ) საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მისაღები კონტიგენტის განსაზღვრა

21[1]. საგანმანათლებლო პროგრამის განახლება

21.1. საგანამანათლებლო პროგრამის განახლებას უძღვება პროგრამის ხელმძღვანელი/პროგრამის აკადემიური დეკანი.

21.2. საგანმანათლებლო პროგრამის განახლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პგს; დსპ-ს განახლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დსპ-ს პგს.

21.3. საბჭოს/პგს-ის მიერ განახლებული საგანმანათლებლო პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინება პას-ს.

მუხლი 22 ამოღებულია

თავი 4. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი

მუხლი 23. აკადემიური პერსონალი

23.1. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში შეიძლება მონაწილეობდეს პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი აუცილებელი ცოდნა, გამოცდილება და კომპეტენცია.

23.2. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტებს უძღვება და ახორციელებს უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალი.

23.3. დსპ-ის შემთხვევაში, რომლის ადმინისტრირება არ ხდება სკოლის მიერ, სასწავლო პროცესის განხორციელება მოწვეული აკადემიური პრესონალის მიერ ხდება იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტში არსებული კომპეტენციის ცენტრები ვერ უზრუნველყოფენ მუდმივი აკადემიური პერსონალის სახით სათანადო კომპეტენციის მიწოდებას საჭირო ოდენობით. ასეთი შემთხვევები საჭიროებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებას.

23.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტაბილურობის და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილია პროგრამაზე აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების რაოდენობის შემდეგი თანაფარდობები:

23.4. 1 მუდმივი და მოწვეული აკადემიური პერსონალის შეფარდება პროგრამაზე სტუდენტთა საერთო რიცხოვნობასთან არაა ნაკლები 1/20-ზე.

23.4. 2 მუდმივი აკადემიური პერსონალის შეფარდება მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან არაა ნაკლები 1/6-ზე.

23.4. 3 ნაშრომის ხელმძღვანელის და დოქტორანტის თანაფარდობა არაა ნაკლები 1/3-ზე. დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

23.5. საგანმანათლებლო პროგრამის სტაბილურობის და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილია პროგრამაზე პერსონალისა და სტუდენტების რაოდენობის შემდეგი თანაფარდობები:

სტუდენტების კონტიგენტის გამოთვლის ფორმულა **ა) სასწავლო ფართი (კვ.მ.)/2** **ბ) ადამიანური რესურსი** **ა.ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა სტუდენტზე**	1/50
სალექციო სწავლება	
სტუდენტების რაოდენობა/პერსონალის რაოდენობაზე	25/1
გაკვეთილზე სტუდენტების რაოდენობა/გაკვეთილზე ლექტორების რაოდენობაზე	120/1
საათების რაოდენობა კვირაში /ლექტორზე	20 სთ
სასემინარო სწავლება	
სტუდენტების რაოდენობა/პერსონალის რაოდენობაზე	25/1
გაკვეთილზე სტუდენტების რაოდენობა/გაკვეთილზე ლექტორების რაოდენობაზე	25/1
საათების რაოდენობა კვირაში/ლექტორზე	20/1
კლინიკური სწავლება	
სემინარზე - სტუდენტის რაოდენობა/პერსონალის რაოდენობა	14/1
პრაქტიკულზე - სტუდენტის რაოდენობა/პერსონალის რაოდენობა	14/1
საათების რაოდენობა დღეში/ლექტორზე	8 სთ

ლაბორატორიული სწავლება	
ლაბორატორიული მუშაობა - სტუდენტის რაოდენობა/პერსონალის რაოდენობა	20/1
სიმულაციური/კლინიკური უნარების სწავლება - სტუდენტის რაოდენობა/პერსონალის რაოდენობა	15/1
საათების რაოდენობა დღეში/ლექტორზე	8 სთ

თავი 5. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების უწყვეტი სრულყოფის მექანიზმი

მუხლი 24. პროგრამის შეფასების მიზნები და მეთოდები

24.1. საქართველოს უნივერსიტეტში პროგრამების შედეგების შეფასებისათვის გამოიყენება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები.

24.2. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების მიზანია პროგრამის მუდმივი გაუმჯობესება, შედეგების დახვეწა და განვითარება.

24.3. პროგრამის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად, გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

24.4. პროგრამის შედეგების შეფასებისას გამოიყენება:

ა) პროგრამის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდი

ბ) პროგრამის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდი

მუხლი 25. პროგრამის შედეგების პირდაპირი შეფასება

25.1. პროგრამის შედეგების პირდაპირი შეფასება - გულისხმობს სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული კურსების სწავლის შედეგების მიღწევის შემოწმებას, რათა მოხდეს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის დონის გაზომვა და მიღებული შედეგების საშუალებით, პროგრამის სწავლის შედეგების კომპეტენციების დახვეწა/მოდიფიცირება ან სხვა ცვლილებების საჭიროების იდენტიფიცირება.

25.2. პროგრამის შედეგების პირდაპირი შეფასება ხორციელდება Online Ug-ის პლატფორმაზე, სადაც პირდაპირი შეფასების მექანიზმი სწავლის შედეგებს აკავშირებს შესაბამის გამოცდებთან (საგამოცდო საკითხებთან) და სასწავლო პროცესის სხვა აქტივობებთან. ამ დაკავშირების შესაბამისად, ბაზა აგროვებს სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონაცემებს და აწარმოებს სწავლის შედეგების მიღწევის დონის გამოთვლას. მექანიზმი იძლევა სტუდენტების მიერ შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავების შეფასების საშუალებას ინდივიდუალურად და ჯგუფურად.

მუხლი 26. პროგრამის შედეგების არაპირდაპირი შეფასება

26.1. პროგრამის შედეგების არაპირდაპირი შეფასება გულისხმობს სტუდენტების და დაინტერესებული პირების დამოკიდებულების შესწავლას სასწავლო პროცესების და პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით.

26.2. პროგრამის შედეგების შეფასების არაპირდაპირი ფორმებია:

26.2.1. სტუდენტების გამოკითხვა

26.2.2. დამსაქმებლების გამოკითხვა

26.2.3. კურსდამთავრებულების გამოკითხვა

26.2.4. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვა

26.2.5. კონფერენციები, სამეცნიერო აქტივობა
26.2.6 საერთაშორისო პროექტების შედეგების ანალიზი
26.2.7. ბაზრის კვლევა, რომელიც მოიაზრებს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელს, სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელს

მუხლი 27. საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების შეფასების პერიოდულობა

27.1. საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების შეფასება ხდება პგს-ს მიერ.
27.2. პირდაპირი მექანიზმებით პროგრამის შედეგების შეფასება ხორციელდება არანაკლებ 1 წელიწადში ერთხელ. სტუდენტების მიერ სასწავლო კურსებითა შესაბამისი ლექტორებით კმაყოფილების შეფასება ხდება სემესტრულად, სადოქტორო პროგრამებზე დასაშვებია ამ გამოკითხვის პერიოდულობად განისაზღვროს არანაკლებ 1 წელი; სხვა არაპირდაპირი მექანიზმებით პროგრამის შედეგების შეფასება ხორციელდება არანაკლებ 3 წელიწადში ერთხელ.
27.3. განხორციელებული შეფასების ხარისხის შემოწმება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხორციელდება პირდაპირი მექანიზმებით პროგრამის შედეგების შეფასების შემთხვევაში არანაკლებ 2 წელიწადში ერთხელ; არაპირდაპირი მექანიზმებით პროგრამის შედეგების შეფასების შემთხვევაში არანაკლებ 4 წელიწადში ერთხელ;
27.4. ანალიზის შედეგად პგს-ს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები აისახება პროგრამის კომპონენტის ცვლილების პროექტში და დასამტკიცებლად ეგზავნება პას-ს.
27.5. პგს-ის რეკომენდაციების ასახვას უზრუნველყოფს აკადემიური დეკანი.
27.6. პროგრამის შეფასების კითხვარები განსაზღვრულია დანართების შესაბამისად:
დანართი N 2 - სასწავლო კურსის და ლექტორის შეფასების ფორმა სტუდენტებისთვის
დანართი N 3 - სასწავლო პროცესით კმაყოფილების შეფასების ფორმა სტუდენტებისთვის
დანართი N 4 - სასწავლო კურსის შეფასების ფორმა ლექტორებისთვის
დანართი N 5 - უნივერსიტეტში მიღებული განათლების შეფასების ფორმა (დასაქმებული სტუდენტებისთვის და კურსდამთვრებულებისთვის)
დანართი N 6 - აუცილებელი პროფესიული უნარ-ჩვევების მოთხოვნის და შეფასების კითხვარი დამსაქმებლებისთვის
27.7. სკოლა/დსპ უფლებამოსილია განსაზღვროს წინამდებარე წესისგან განსახვავებული კითხვარები, რომელიც მტკიცდება პგს-ის მიერ.

მუხლი 27[1]. მოდელირებული აკრედიტაციის პროცესი

27[1].1. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის, განვითარებისა და პერიოდული მონიტორინგის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს პროგრამის მოდელირებულ აკრედიტაციის პროცესს შესაბამისი სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენის ვადამდე 6 თვით ადრე.
27[1].2. მოდელირებული აკრედიტაციის პროცესი მიზნად ისახავს პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებასა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სააკრედიტაციო პროცესისთვის მათ მომზადებას.
27[1].3. მოდელირების აკრედიტაციის პროცესი მოიცავს მოდელირებული სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლას, მოდელირებული სააკრედიტაციო ვიზიტის განხორციელებას, დასკვნის შედგენას.
27[1].4. სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენის ვადამდე 6 თვით ადრე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კლასტერში აჯგუფებს პროგრამებს, რის შესახებაც ეცნობებათ შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელებს.

27[1].5. მოდელირებული სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენის მიზნით, იქმნება თვითშეფასების ჯგუფი, რომელშიც წარმოდგენილი უნდა იყოს კლასტერში დაჯგუფებული ყველა პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი; თვითშეფასების ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრება კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების საჭიროებებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.
27[1].6. მოდელირებული სააკრედიტაციო განაცხადის მოიცავს თვითშეფასების ანგარიშს, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარედგინება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული ფორმით, თვითშეფასების ფორმით განსაზღვრული დანართებითა და იმ მტკიცებულებებით, რომლებზეც თვითშეფასების ანგარიშშია მითითებული.
27[1].7. თვითშეფასების ანგარიში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ეგზავნება ამ მუხლით კლასტერში პროგრამების დაჯგუფებიდან 1 თვის ვადაში; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს/აფასებს დოკუმენტაციას და გეგმავს მოდელირებულ სააკრედიტაციო ვიზიტს, რაც მოიცავს პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან და დაინტერესებულ პირებთან გასაუბრებას.
27[1].8. დოკუმენტების შესწავლასა და გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამზადებს დასკვნას, რომელიც წარედგინება კლასტერში დაჯგუფებული ყველა ცალკეული პროგრამის განვითარების საბჭოს, რომელიც განაგრძობს მუშაობას გაცემული რეკომენდაციების/რჩევების შესასრულებლად და პროგრამის სააკრედიტაციო განაცხადისთვის მოსამზადებლად.

თავი 6. საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსება

მუხლი 28. საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსება

28.1. საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსების ძირითადი წყარო არის სტუდენტის მიერ გადახდილი სწავლის საფასური.
28.2. პროგრამის ძირითად ხარჯებს წარმოადგენს პროგრამის განხორციელების პირდაპირი, არაპირდაპირი და ზედნადები ხარჯები.
28.3. საგანმანათლებლო პროგრამას აქვს საკუთარი ბიუჯეტი (ბიუჯეტის შემოსავლითი და ხარჯვითი ნაწილის ნომენკლატურა და ფორმირების და მართვის წესი რეგულირდება სუ-ის ბიუჯეტის დებულებით).

თავი 7. საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მისაღები კონტიგენტის განსაზღვრა

მუხლი 29. პროგრამაზე სტუდენტთა მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია

29.1. პროგრამაზე ყოველწლიურად მისაღები კონტიგენტის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები:
ა) გარე შემზღუდავი ფაქტორები
ბ) შიდა შემზღუდავი ფაქტორები
გ) სტრატეგიული ნიშნულები
29.2. გარე შემზღუდავი ფაქტორები წარმოადგენს სუ-ის ცალკეულ პროგრამაზე შეთავაზებული სწავლის საფასურის პირობებში, სავარაუდო მოთხოვნის რაოდენობაზე მოქმედ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა: სტუდენტების გადახდისუნარიანობა, სპეციალობის პოპულარობა, კონკურენტი უნივერსიტეტების მიერ ანალოგიურ/მსგავს განსაზღვრული ვაკანტური ადგილების რაოდენობა, სწავლის საფასური; მოცემულ სპეციალობაზე აბიტურიენტებში მოთხოვნის წინა წლების რეტროსპექტიული ანალიზი, წინა წლებში მიღების სტატისტიკა,პერსპექტივების ანალიზი და ა.შ.
29.3. შიდა შემზღუდავ ფაქტორებს წარმოადგენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა აკადემიური პერსონალის ლიმიტი, ინფრასტრუქტურის ლიმიტი (1 სტუდენტზე არანაკლებ 2 კვ.მ. სასწავლო ფართი)

მატერიალურ-ტექნიკური (კომპიუტერული ტექნიკის, სალაბორატორიო რესურსის და ა.შ.) ბაზის ლიმიტი.
29.4. სტრატეგიული ნიშნულები გულისხმობს სუ-ის სტრატეგიული გეგმით დასახულ ზოგად ნიშნულებს, რაც გრძელვადიან სტრატეგიას განსაზღვრავს ისეთი საკითხების მიმართ, როგორიცაა ცალკეული დარგის/მიმართულების განვითარება, ცალკეულ პროგრამებზე სწავლის საფასური, ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტების თანაფარდობა, სწავლების საფეხურებზე სტუდენტების ფარდობითი განაწილება და ა.შ.
29.5. პროგრამების განახლების დროს უნივერსიტეტი განიხილავს საფალკუტეტო სამიზნე ნიშნულებს. პროგრამების განახლების ან/და რაოდენობის განსაზღვრის პროცესში მხედველობაში მიიღება სამიზნე ნიშნულები.

მუხლი 30. კონტიგენტის დაგეგმვის პროცესი
30.1. პროგრამის აკადემიური დეკანი წლიური მისაღები კონტიგენტის პროექტს დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლის საბჭოს, ხოლო დსპ-ს ადმინისტრაციული დეკანი - პროგრამის განვითარების საბჭოს.
30.2. სკოლის დირექტორი/დსპ-ის ადმინისტრაციული დეკანი წლიური მისაღები კონტიგენტის პროექტს დასამტკიცებლად წარადგენს რექტორის საბჭოზე.
30.3. რექტორის საბჭოზე გადაწყვეტილება მიიღება სკოლის დირექტორებსა და დსპ-ების ადმინისტრაციულ დეკანებს შორის კომპრომისის საფუძველზე სუ-ის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

თავი 8. სუ-ის წილობრივი მონაწილეობა დსპ-ში

მუხლი 31. დსპ-ში სუ-ის ინვესტიცია
31.1. დსპ-ის არანაკლებ 20%-ის თანამესაკუთრეა სუ. დანარჩენი შეიძლება ნაწილდებოდეს პირზე ან პირთა ჯგუფზე.
31.2. სუ-მა შეიძლება მოახდინოს დსპ-ში ინვესტიცია, ისევე, როგორც მოახდინოს მისი დაფინანსება სესხის სახით.
31.3. ინვესტიცია შესაძლებელია გაკეთდეს როგორც ფულადი, ისე სხვა მატერიალური თუ არამატერიალური სახით.
31.4. სუ-ის წილი დსპ-ში (20%-ის ზევით) განისაზღვრება დსპ-ში სუ-ის ინვესტიციის შესაბამისად:
ა) სუ-ის წილი დსპ-ში (20%-ის ზევით) ტოლია ინვესტიციის მოცულობის შეფარდების სააკრედიტაციო პერიოდში (7 წელი) მისაღები პოტენციური წლიური მოგებების დისკონტირებულ ღირებულებასთან;
ბ) დისკონტირების განაკვეთი ტოლია უკანასკნელი 3 წლის განმანვლობაში სუ-ის კაპიტალზე უკუგების საშუალო არითმეტიკულის;
გ) კაპიტალზე უკუგება ითვლება წლიური მოგების შეფარდებით საანგარიშო წლის წინა წლის ბოლოს საწარმოს კაპიტალთან.

მუხლი 32. დსპ-ის წილის განსხვისება
32.1. დსპ-ის სუ-ის საკუთრებაში არსებულ წილს განკარგავს სუ.
32.2. დსპ-ის სუ-ის საკუთერებაში არსებულ წილის განსხვისება ხდება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე.
32.3. დსპ-ზე საკუთრების წილის (რომელიც არ ეკუთვნის სუ-ს) განკარგვის (განსხვისება/მემკვიდრეობით გადაცემა) უფლება აქვს წილის მფლობელს.
32.4. განსხვისების შემთხვევაში სუ სარგებლობს უპირატესი შესყიდვის უფლებით.

32.5. დსპ-ის წილის მფლობელს (სუ-ის გარდა) შეუძლია წილის განსხვისება სუ-სთვის წილის განსხვისების განზრახვის შესახებ ოფიციალური შეტყობინებიდან 6 თვის შემდეგ.

თავი 9. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება

მუხლი 33. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება

33.1. საქართველოს უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება ხდება პროგრამის მილევად რეჟიმში გადაყვანით.

33.2. საგანმანათლებლო პროგრამის მილევად რეჟიმში გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სკოლის საბჭო (დსპ-ს შემთხვევაში - პგს). გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინება პას-ს.

33.3. მილევად პროგრამაზე არ ხდება მიღების გამოცხადება და პროგრამა არ მიეთითება ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და საერთო სამაგისტრო გამოცდების ანკეტა-კითხვარში.

33.4. მილევად პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით მათ ეძლევათ სხვა, მათ შორის, მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამაზე შიდა/გარე მობილობის შესაძლებლობა.

33.5. თუ სტუდენტი არ/ვერ სარგებლობს შიდა/გარე მობილობით, უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას მისცეს მას პროგრამის დასრულების შესაძლებლობა.

33.6. სტატუსშეჩერებულ სტუდენტს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური ატყობინებს პროგრამის მილევად რეჟიმში გადაყვანის შესახებ. ასეთ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, პროგრამაზე აქტიური სტუდენტების მიერ პროგრამის დასრულებამდე აღიდგინოს სტატუსი და ისარგებლოს შიდა/გარე მობილობით ან განაგრძოს სწავლა.

განხორციელებული ცვლილებები:

ცვლილება რექტორის საბჭოს 2021 წლის 25 მარტის N 12/21 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 16 ოქტომბრის N 31/23 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2024 წლის 8 ივლისის N 19/24 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2025 წლის 3 მარტის N 05/25 ოქმით